

**როგორ გავზარდოთ თვითშეფასების წიგნიერება სკოლის
განვითარებისთვის (სსიპ - ქ. თბილისის №43 სკოლაში)**

პრაქტიკის კვლევა

ლია მწყერაშვილი

მარიამი ზედგინიძე

მარიამი გოგოხია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი
სამეცნიერო ნაშრომის თანახელმძღვანელი: ეკა ტყავაშვილი, ასისტენტ პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი და გვარი: მარიამ ზედგინიძე

სახელი და გვარი: ლია მწყერაშვილი

სახელი და გვარი: მარიამ გოგოხია

თარიღი: 22.06.2018

აბსტრაქტი

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საგანმანათლებლო სისტემების დეცენტრალიზაციამ ბევრ ქვეყანაში გამოიწვია ანგარიშვალდებულებისადმი ინტერესი. შესაბამისად, ყურადღების ცენტრში მოექცა შიდა სასკოლო შეფასება. როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, თვითშეფასების პროცესში სკოლები არაერთი გამოწვევის წინაშე დგებიან. ბუნებრივია, ამ გამოწვევებს ქართულ სკოლებშიც უნდა ველოდოთ. ჩვენი კვლევა პრაქტიკის კვლევის მეთოდით შეისწავლის, როგორ უნდა დავეხმაროთ სკოლებს თვითშეფასების პროცესში. მიმდინარე თვითშეფასების პროექტში წარმოშობილი გამოწვევიდან გამოვკვეთეთ ორი - შეფასების წიგნიერება და პრობლემის გადაჭრის ინოვაციური მეთოდების შემუშავება და პრაქტიკის კვლევის ფარგლებში ვეძებთ ამ ორი მიმართულებით სკოლისთვის მხარდაჭრის აღმოჩენის გზები. ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შეფასებამ გვიჩვენა, რომ სკოლის მხარდაჭრის წარმატებული სტრატეგიაა (1) კვლევის სწავლებით კეთება და (2) კონკრეტული სასწავლო სტრატეგიების ინოვაციური მიდგომების ბანკის შექმნა.

სადიებო სიტყვები: ანგარიშვალდებულება, თვითშეფასება, შეფასების წიგნიერება.

Abstract

For the last two decades, the decentralization of educational system in many countries has led to interest towards accountability. Consequently, the internal school assessment system has become the main focus. As other countries experience shows, schools are faced with a number of challenges in self-evaluation. Logically, we should expect these challenges in Georgian schools too. Our research will examine how to help schools with the self-assessment process. In the current self-evaluation project, we developed a two-step assessment of literacy and innovative methods of solving the problem and finding ways to support schools in these two directions. The evaluation of our interventions showed that successful strategies for school supports are (1) Doing action research and (2) creating a bank of innovative specific learning strategies.

Key Words: Accountability, Self-evaluation, Assessment Literacy.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია ანდულაძესა და ნაშრომის თანახელმძღვანელს, ქალბატონ ეკა ტყავაშვილს ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, კონსულტირებისთვის და მუშაობის პროცესში მოწოდებული რჩევებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით სსიპ - ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ სოფიო დედალამაზიშვილს პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის.

გარდა ამისა, მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა პირს, სკოლის ინგლისური ენის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, რომლებიც დიდი ინტერესით ჩაერთნენ კვლევის პროცესში და აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენთან.